პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 17 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 210 (909) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელსმენი 2—24 | განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## სამხკორის მუშაობა მომავალ გაწვევასთან დაკავშირებით.

მალე ჩვენი წითელი ჯარის რიგებისაკენ გაეშურება ახალი შევსება 1903 წელში დაბადებული ახალგაზრდობის სახით. ჩვენი ჯარი აქედანვე უნდა შეუდგეს მზადებას ახალწვეულების შესახვედრათ.

ნაწილის ყოველი დარგი ენერგიულად უნდა ამუშავდეს ამ მხრივ. ახალწვეულების სათანადოთ შეხვედრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სამხედრო და პოლიტიკური მომზადების საქმეში მომავალში.

აი რატომ არის საჭირო, რომ ნაწილი შესაფერისად შეხვდეს ახალ წვეულებს და მათი ყაზარმაში მოსვლის პირველ დღიდანვე აგრძნობინოს მათ, თუ რას წარმოადგენს და რას ემსახურება წითელი არმია.

ეს მომენტი არ უნდა გამორჩეს ყურადღებიდან ჩვენ სამხკორებს.

მათ დაწვრილებით და ვრცლად უნდა გააშუქონ მზადების ყველა მხარეები, მისი მსვლელობა და სხვა. განსაკუთრებით საჭიროა იმის აღნიშვნა, თუ როგორ ემზადებიან ახალ წვეულების შესახვედრად 1902 წელში დაბადებული შემოდგომაზე გაწვეული წითელ-არმიელები.

მაგრამ ჩვენი სამხკორები ვალდებული არიან არა თუ მარტო სწერონ მზადების შესახებ. ისინი მოვალენი არიან თვით ემზადონ ახალ წვეულების შესახვედრად თავის დარგში. მათ უნდა გამოიმუშავონ სათანადო გეგმა ახალ წვეულების გაზეთთან დაკავშირებისა და მათი სამხკორთა მუშაობაში ჩაბმის შესახებ. ნუ დაივიწყებენ ჩვენი სამხკორები, რომ მათ ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენს ახალი სამხკორების შეძენა ჩვენი გაზეთისათვის. მათ უნდა მოამზადონ თავისი ცვლა ახალ წვეულებისაგან.

და ამაზე სამხკორებმა უნდა იზრუნონ ახალ წვეულების წითელ ჯარში მოსვლის პირველ დღიდანვე.

ამრიგად მომავალ გაწვევასთან დაკავშირებით ჩვენი სამხკორების წინაშე სდგას ორი მთავარი ამოცანა—ახალ წვეულების შეხვედრის მზადების ყოველმხრივ გაშუქება გაზეთში და მეორე მხრივ თვით სამხკორების მზადება თავის მუშაობის დარგში.

ეს ორი ამოცანა ჩვენმა სამხკორებმა უნდა გაატარონ რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერებით და წარმატებით. მათი შესრულებისაგან დიდათ დამოკიდებულია ახალ წვეულების მოსავალი სწავლის და თვით სამხკორთა მუშაობის წარმატებით წინსვლა.

სამხკორო, სწერე შენს გაზეთში, როგორ ემზადება შენი ნაწილი ახალ წვეულების შესახვედრათ. მოამზადე ნიადაგი ახალი სამხკორების შესაძენად!

## პოლიტ-ხელი და ლენინის კუთხე.

აგერ სამი წელიწადია, რაც რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს მიერ გამოცემული იქმნა ბრძანება, რომლის თანახმადაც პოლიტ-ხელმძღვანელი ითვლება ლენკუთხის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად. ამის შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა კრებებზე, სემინარების მეცადინეობაზე, სამუშაო გეგმებში, მაგრამ დღემდე ჩვენდა სამწუხაროთ, ზოგიერთ ნაწილებში პოლიტ-ხელი ნაკლებათ ასრულებს თავის მოვალეობას ლენ-კუთხის წინაშე.

როდესაც შედიხართ ჩვენს ლენინის კუთხეში და ეკითხებით წითელ არმიელებს, ვინ არის ლენკუთხის ხელმძღვანელი, ყველანი მიგითითებენ წითელ არმიელებზე, რომელიც არის დანიშნული პოლიტ-ხელის მიერ. წითელ-არმიელები არ იცნობენ პოლიტ-ხელს როგორც ლენკუთხის მომუშავეს და ხელმძღვანელს. ლენ-კუთხე მინდობილია პოლიტ-ხელის მიერ დანიშნულ წითელ-არმიელზე: ის არის როგორც ტეხნიკური ისე იდეური ხელმძღვანელი.

რაც შეეხება აქტივის შექმნას, აღმზრდელობით მუშაობის წარმოებას, ამით ზოგიერთ კუთხის პოლიტ-ხელი ნაკლებათ არის დაინტერესებული. მას გონია რომ, მარტო პოლიტ-საათის ჩატარება შეადგენს მის მოვალეობას და რაც შეეხება ლენკუთხეში მუშაობას, ეს სხვათაშორისაა და ასეთი შეხედულება ლენკუთხის მუშაობაზე, რა თქმა უნდა, შემცდარია. ლენკუთხის მუშაობას აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა ნაწილის პარტსაპოლიტ-განმანათლებლო დარგში.

ასეთ მოვლენებს, ბოლო უნდა მოეღოს. პოლიტ-ხელი არ უნდა იყოს მარტო „რევიზორი“ ლენკუთხისა. ის უნდა გახდეს ნამდვილი უშუალო აღმზრდელი წითელ არმიელთა მასისა.

უმეტესათ დღეს, როდესაც პირველათ გვიხდება ტერშეკრების ჩატარება, პოლიტ-ხელმა მთელი თავისუფალი დრო უნდა გაატაროს ლენინის კუთხეში, რათა რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მივიღოთ სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

ტ. წმენიძე.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის სამთო-მადნო მუშათა გაფიცვები.

სამთომადნო მუშათა გაფიცვები ჩინეთში გრძელდება. გაფიცულებმა მოაწყვეს საკონტროლო რაზმები კავშირის ბინის დასაცავად და შტრეიკბერხერობის წინააღმდეგ. იმის შემდეგ რაც პოლიციამ 13 სექტემბერს დაიკავა კავშირის ბინა 10.000 გაფიცულთაგანი გარშემოერტყა უკანასკნელს და მოსთხოვა პოლიციას დაეტოვებია ის. რამოდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც ადგილი ქონდა პოლიციელების მხრით ჰაერში გასროლას, უკანასკნელები იძულებული შეიქნენ დაეცალათ ბინა.

გაფიცულები მოქმედებენ წესრიგიანად და ორგანიზაციულად. გენერალ ლი-ჩეი-ლინმა გაგზავნა მაღაროებისაკენ 300 ჯარის კაცი წესრიგის დაცვის მიზნით.

## დემონსტრაცია 7 სექტემბერს დახვრეტილთა გამო.

პეკინის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აწყობენ მომავალ კვირისათვის შეერთებულ დიდ დემონსტრაციას 7 სექტემბერს შანხაიში დახვრეტილთა გამო (ბოქსერთა აჯანყების 25 წლის თავზე.)

პეკინის კომპარტიის ორგანიზაციამ გამოუშვა ფურცელი, რომელიც მიძღვნილია ამ ახალ ქლეტისადმი.

სტუდენტთა კავშირებმაც დაგზავნეს საპროტესტო დეპეშები.

## თავადების რუმინიაში.

### რუმინიის პროფკავშირთა მუშაკების შიმშილობა.

მე-14-ე დღეა რაც შიმშილობენ რუმინიის პროფკავშირთა მუშაკები. „ადამიანის უფლებათა ლიგის“ რუმინიის სექციის მდივანმა კოსტოკოროუმ გამოაქვეყნა მიმართული რუმინიის მეფისადმი ღია წერილი, რომელშიაც ის მოითხოვს უკანონოდ დაჭერილ პროფკავშირთა მუშების, საქმის გარჩევას.

## რევოლიუცია კვლავ იკრებს ძალებს.

ბულგარეთის ბურჟუაზიული პრესა იტყობინება აჯანყებულთა რაზმების გაცხოველებულ მოქმედების შესახებ.

ამის გამო, გაზეთები აღნიშნავენ, რომ კომპარტიები კვლავ იკრებს ძალებს, რასაც მთავრობამ ენერგიულ რეპრესიებით (დევნით) უნდა უპასუხოს.

## რუმინიის გლეხთა პარტიის საწინააღმდეგო კამპანია.

რეაქციონური პრესა აქვეყნებს ცნობას, თითქოს ბესარაბიელ კომუნისტს ფინხელს გადმოეტანოს გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდებები რუმინელ გლეხებისადმი. ამის გამო მთავრობის პრესამ გააჩაღა კამპანია რუმინიის გლეხთა პარტიის წინააღმდეგ. გლეხთა პარტიის გაზეთი „ავრორა“ უპასუხებს, რომ კიშინიოვის პროცესში უნდა ისხდენ ბრალდებულის სკამზე არა ბესარაბიელი გლეხები, არამედ მთავრობის პარტიის წევრები და ბესარაბიის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა პროვოკაციაზე წამოეგო ბესარაბიელი გლეხობა.

### რუმინეთ-ინგლისის საზღვაო ხელშეკრულება.

შავ ზღვაში შემოვიდა ორი ინგლისის კრეისერი „ფროიშერი“ და „დრაგონი“.

კრეისერები მიეშურებიან კონსტანცაში (რუმინეთის ნავთსადგური).

შავი ზღვის ფლოტის რევსამხსაბჭოს წევრმა კირეევმა ამას წინეებზედ გამოსთქვა აზრი ინგლისსა და რუმინეთს შორის მოსალოდნელ საზღვაო შეთანხმების შესახებ. ინგლისის კრეისერების მისვლა კონსტანცაში სავსებით ამართლებს ამ აზრს.

# საბჭოთა კავშირში

## ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია მოსკოვში.

16 სექტემბერს ინგლისის საპარლამენტო დელეგაციამ ინახულა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარი კრასინი, რომელმაც გააცნო დელეგაციას კომისარიატის მიმდინარე მოქმედებანი და გარეშე ვაჭრობის საკითხები. დელეგაციას ძალიან აინტერესებდა საბჭოთა ექსპორტის საკითხები.

შემდეგ დელეგაციამ ინახულა მიწად მოქ. სახ-კომის მოადგილე სვიდერსკი, რომელმაც გააცნო დელეგატებს საბჭოთა კავშირის სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა.

## ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის დახურვა.

15 სექტემბერს დაიხურა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ბაზრობის საერთო ბრუნვა უდრის 140 მილ. მანეთს. წელს ბაზრობის ერთი თვის არსებობის განმავლობაში შემოზიდვა აღემატება გასულ წლის შემოზიდვას 500.000 ფუთი ან 17 პროც. ბაზარზე დიდი იყო საქონლის მოთხოვნილება, რაც ვერ იქმნა სავსებით დაკმაყოფილებული. პირველ რიგში შემოტანილი საქონლის უმეტესობა ეკუთვნის სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს, შემდეგ აღმოსავლეთის ვაჭრებს და დასასრულ კოოპერაციას.

## ნავთი ზღვის ძირიდან.

ლენინგრადის პოლიტეხნიკურმა უნივერსიტეტმა მიიღო ცნობა, რომ ბაქოში სრულ შედეგით დასრულდა ცდები ზღვის ძირიდან ნავთის ამოღებისა. ნავთი ამოაქვთ ბიბი-ეიბატის ნავთ-სადგურიდან, რომლის უმეტესი ნაწილი ამოვსებულია. ნავთის ამოღება სწარმოებს მილების საშუალებით.

## გლეხების პროცესი ბესარაბიაში.



თათარბუნარის გლეხები სასამართლოს წინაშე.

## უცხოელ მასწავლებელთა მე-2 დელეგაციის ჩამოსვლის გამო თბილისში



კლემანს

დელეგაციის თავმჯდომარე.

## უცხოეთის სწავლულნი გზათა კომისარიატში

უცხოელ სწავლულთა ჯგუფმა ინახულა გზათა კომისარის მოადგილე, რომელთანაც ქ ონდათ საუბარი საბჭოთა რკინის გზის ტრანსპორტის აღდგენის შესახებ.

# საბჭოთა ამიერ-კავკასიაში

## ოსების დაბრუნება.

ამერიკიდან და ავსტრალიიდან ბრუნდებიან თავის სამშობლოში 500 ოსისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებმაც ნებართვა დაბრუნებისა უკვე მიიღეს.

# საბჭოთა საქართველოში.

## ქოხ-სამკითხველოთა გამგეობის კურსები.

ამ დღეებში სამაზრო პოლიტ-განმანათლებელ განყოფილებამ გამოუშვა 20 კურსანტი, რომლებმაც დაასრულეს ქოხ-სამკითხველოების კურსები. იმათმა ყველამ მიიღო დანიშნულებანი.

# სამხედრო საქმე

## შენიღბვა.

### წერილი მეორე.

გაშლილ ადგილას თუ როგორ სჩანს მსროლელი, ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე.

ახლა ზედმეტი არ იქნება გაცნობა იმისა, თუ როგორ მოსჩანს მსროლელი სხვა და სხვა მანძილზე. გავარჩიოთ თავდაპირველად, თუ როგორ მოსჩანს მსროლელი შორ მანძილზე. მოწინააღმდეგეს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მსროლელების გადარბენის დროს 1500 ნაბიჯის სიშორეზე, ხიშტის, შაშხანას და ქვაბუნას ბრწყინვალება, ტანსაცმელის ფერი, როცა ის განირჩევა ადგილ-მდებარეობიდან.

ამის გარდა ადვილი გამოსანახავია მსროლელები, როცა ისინი დაბანაკებული არიან სწორ ადგილას ჯგუფ-ჯგუფად თუ დაშორებულად ერთმეორესთან. ესეც თვალში ეცემა მტერს.

გადარბენის დროს მსროლელის შენიშვნა შეიძლება ადგილიდან ძაძვრის დროს და ხელების ქნევის გამო. ადვილი შესამჩნევია მსროლელების მოძრაობა ფრონტზე. აი ყველა ის პირობები, რომლის საშუალებით მოთვალთვალეს შეძლება ეძლევა სწრაფად და უშრომოთ აღმოაჩინოს მსროლელები. იმისათვის, რომ ადვილად არ ვიქნეთ შენიშნული მტრის მიერ, ამიტომ საჭიროა ვერიდოთ ისეთ მოძრაობას და სწორ ადგილზე გაჩერებას, რომელიც შესაძლებელს ხდის მსროლელების დანახვას. რაც შეეხება მსროლელის ტანსაცმელს, იარაღს და სხვა მის მოძრაობას 800-1500 ნაბიჯის სიშორეზე საშუალო მანძილიდან უფრო ნაკლებად მოსჩანან. 800-1000 ფეხის ნაბიჯის სიშორეზე მსროლელების შენიშვნა შეიძლება გრძელ გადარბენის დროს. აგრეთვე კარგად მოსჩანს მსროლელი, როცა ის დგება მიწიდან და იმართება იმაზე უფრო მაღლა, რაც ეკუთვნის ან და წოლის დროს თავს, ხელს და ფეხებს მაღლა ასწევს. დასასრულ, ყოველივე მოძრაობა მსროლელების გაშლილ ადგილას 200-800 ფეხის ნაბიჯზე შესამჩნევია და მათი შენიშვნა სწრაფად ხდება.

ამასთან საკმარისია მცირე მოძრაობა ან და მიწიდან ადგომა, თავის მაღლა აწევა ან და დახურულ ადგილიდან გამოხედვა, რომ ის შენიშნულ იქნეს მტრის მიერ.

ზემო მოყვანილ ფაქტებიდან სჩანს, რომ მსროლელი არ იქნეს შენიშნული ეს მთლიანად დამოკიდებულია:

1. მსროლელის და მის მოქმედებისაგან,

2. ტანსაცმელის ფერისაგან და

3. იმ იარაღისაგან, რომელიცაქვს მსროლელს.

ი. ბარ.

# შეფებული წითელ არმიელი და სოფელი

## შეფებულო, მჭიდრო კავშირი იქონიე სოფლის კულტურულ მუშაკებთან.

### ყოველთვის მარტო ვერ შესძლებ მუშაობას.—საჭიროა დამხმარე.—აგრონომი, ბეითალი, მასწავლებელი და სხვა კულტურულ ფრონტზე მომუშავენი შენ დაგეხმარებიან.

სოფელი ამ ჟამად აღორძინების გზას ადგია. იქ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ჩამორჩენილ მეურნეობის აღსადგენად. ჩვენი მორიგი ამოცანაა—მთელი ძალ-ღონით ხელი შევუწყოთ ახალ სოფლის აშენებას.

შეფებული წითელ არმიელი, როგორც მოწინავე და წერა-კითხვის მცოდნე პიროვნება, ვალდებულია ამ საქმეში დაეხმაროს გლეხს. ამისათვის საჭიროა მან ამ მიმართულებით იმუშაოს არა ცალკე, არამედ სოფელში კულტურულ ფრონტზე მომუშავე მუშაკებთან ერთად. აი რატომ:

„ერთი ჭკუა კარგია, ორი კიდევ უკეთესია“ —ამბობს ბრძნული ანდაზა და ეს მართალიც არის. მაგალითად, რომ აღვადგინოთ მეურნეობა, ამისათვის საჭიროა სოფელს მივსცეთ შესაფერისი აგრონომიული ცოდნა.

შეუძლია თუ არა შეფებულს სხვის დაუხმარებლად მისცეს პრაქტიკული, სპეციალური რჩევა-დარიგება ამ დარგში? რასაკვირველია, არა. წითელ ჯარის რიგებში მას არ მიუღია სპეციალური აგრონომიული ცოდნა. ეს არც საჭირო იყო, რადგან სოფლებში აგრონომები არიან.

შეფებულის ამოცანა გამოიხატება იმაში, რომ ის გაეცნოს სასოფლო-სამეურნეო საბჭოს და აგრონომის მუშაობას ძასში, ჩაითრიოს საერთო მუშაობაში უფრო მოწინავე გლეხები. ამის გაკეთებას შეფებული შესძლებს მხოლოდ აგრონომთან მჭიდრო კავშირის საშუალებით.

ავიღოთ, მაგალითად, სხვა სამუშაოებიც: წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია, ვეტერინალური დახმარება, მიწის მოწყობა და სხ.—განა აქ ბევრის გაკეთებას შესძლებს შეფებული მარტო თავის ძალღონით? თავის თავად ცხადია, რომ არაფრის. ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ შევსძლებთ ყოველივე გაკეთებას აგრონომის, მასწავლებლის, ექიმის და სხ. დაუხმარებლად, იქნებოდა დიდი სისულელე.

პირიქით, ყველა კულტურულ ფრონტზე მომუშავეთან ერთად მუშაობის საშუალებით შეფებული წითელ არმიელი შესძლებს ახალი სოფლის აშენებაში გაუწიოს გლეხობას ნამდვილი დახმარება.

## შეფებული და სოფლებზე შეფობის გავრცელების საკითხი.

ქალაქი, ე. ი. მუშები და საბჭოთა დაწესებულებები, ქალაქის პარტიული და ახ. ლ. კ. კ. უჯრედები იღებენ შეფობას სოფლებზე.

შეფობის მიზანი გამოიხატება იმაში, რომ სოფელს დაეხმაროს კულტურულად.

ამოცანა, როგორც ხედავს შეფებული წითელ-არმიელი, მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა: ეს მოითხოვს დიდ მუშაობას, სწორ და მოხერხებულ მიდგომას სოფლის ყოველივე საკითხისადმი, უმთავრესად მუშაობა მაგალითებზე უნდა იყოს დამყარებული.

ამ ჟამად ფაბრიკებს, ქარხნებს, დაწესებულებებს და საზოგადო ორგანიზაციებს თავიანთ შეფობის ქვეშ აყვანილი ყავთ ასობით და ათასობით სოფლები.

ყოველი ქარხანა, ყოველი საბჭოთა დაწესებულება თავის მოვალეობად სთვლის სოფლის სიბნელიდან გამოყვანას და მის კულტურულ გზაზე დაყენებას.

საშეფო მუშაობის დარგში დიდ მიღწევებს აქვს ადგილი. ქალაქის ორგანიზაციების საშუალებით ათასობით გახსნილია ქოხ-სამკითხველოები, ბევრ სოფლებში გაყვანილია ელექტრონის სინათლე და სხვა.

შეფობამ თავის დანიშნულება გაამართლა სოფლის და ქალაქის დაახლოვების საქმეში. შეფობამ დაამტკიცა, რომ მუშას სურს თავის კულტურული სიმდიდრე გაუნაწილოს სოფელს.

ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა აღნიშვნა ყოველივე იმის, თუ რა გააკეთეს შეფებმა ამ ხნის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, მომავალში შეფობის მუშაობა მაინც მოითხოვს გაუმჯობესებას.

ჯერ კიდევ ნათლად გვიდგანა თვალწინ ის მოვლენები, როცა ზოგიერთ შეფები სასარგებლო და საჭირო მუშაობის მაგივრად ატარებდენ სიტყვების უსაფუძვლო რახა რუხში. ასეთ მოვლენას უნდა შეებრძოლოს შეფებული სოფლის პარტიულ უჯრედის დახმარებით.

შეფობის დანიშნულება გამოიხატება იმაში, რომ მან მისცეს გლეხს სწორი პასუხი, კარგი რჩევა მეურნეობაში, დაეხმაროს სკოლის აშენებაში, ქოხ-სამკითხველოს მოწყობაში, შეებრძოლოს უკანონობას, თუ ასეთს ადგილი აქვს სოფელში, გახსნას კოოპერატივი. ამისათვის შეფი კარგად უნდა იყოს გაცნობილი გლეხის ცხოვრებას, მის ჭირ-ვარამს. აი ეს ამოცანები, რომელსაც ისახავს შეფობა თავის მუშაობაში. გლეხობა უნდა დაეხმაროს იმაში, რომ შეფობა ფართედ გავრცელდეს ჩვენს სოფლებში.

ქალაქი აძლევს სოფელს ყოველივე იმას, რის მოცემაც მას შეუძლია. სოფლის მოვალეობაა ქალაქის დახმარება გამოიყენოს.

## მნეობა ალლუმობის დროს.

ალლუმები დამთავრდა 1-ლ სექტემბრისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, შეცდომები, თუმცა უმნიშვნელო, აღმოჩნდა საომარ ამოცანების გამოყვანის ტაქტიკაშიც და ჯარის ნაწილების მომარაგების ტაქტიკაშიც. რასაკვირველია, ჩვენი მეთაურობა ამტკიცებდა, რომ ისინი განკარგულებებს იძლეოდნენ სწორეთ „მხოლოდ იმიტომ რომ მომარაგება მოისუსტებს, საერთოდ კმაყოფა ვერ იყო სასურველ დონეზე“-ო.

გავარჩიოთ ამაში მართლა სამნეო მუშაკნი არიან დამნაშავენი, თუ ის პირნი, რომელნიც ბრალს სდებენ სამნეო მუშაკებს, თვითონ არა აქვთ მოქალაქეობრივი გამბედაობა შეიგნონ თავიანთი უძალ-ღონობა და წინდაუხედაობა სამნეო დარგში?

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თანახმად არსებული კანონებისა ამ ჟამათ ნაწილის სამწყობრო მუშაობაში, აგრეთვე სამნეო დარგის კეთილ-დღეობაში სავსებით და სრულიათ პასუხისმგებელია ერთეულის უფროსი, მისი თანაშემწე კი სამნეო დარგში არის მხოლოდ ტექნიკური აღმასრულებელი ერთეულის უფროსის ნება-სურვილისა. შემდეგ—მომარაგების ტაქტიკა განუყრელად შეერთებულია ქვეითა ჯარის საომარ—სამსახურის დებულებასთან და საველე წესდებასთან. მაშასადამე, ამ წესით ერთეულის უფროსს სულ მუდამ უნდა ახსოვდეს რომ, თუ ჯარის ნაწილის ყოველგვარ პირობებში და საომარ მოქმედების მიმდინარეობაში, მომარაგება არ იქნება დაყენებული სწორ ნიადაგზე, მაშინ მისი საომარ მოქმედების სასურველი შედეგიც საეჭვოა.

ამ საკითხების შესახებ იყო უკვე დაწერილი ჩვენ გაზეთ „წითელი არმიელი“-ს ფურცლებზე (იხ. №№ 25—29 ა. წ. თებერვ.) და ამიტომ თეორეტიულ მოსაზრების განმარტებაზე აღარ შევჩერდებით.

რაში გამოიხატა ალლუმების დროს ნაკლულევანებანი სამნეო დარგში?

1. სულ მუდამ გვიანდებოდა ცხელი საჭმლის მიცემა იმ მიზეზით, რომ ხშირად სამზარეულოები ვერ პოულობდნენ თავიანთ ნაწილებს;

2. გვიანდებოდა პურის და საქონლის საკვებ სარჩოს მოზიდვა მეორე ხარისხის და კერძოთ დაქირავებულს აზიდავების მიერ;

3. წითელარმიელებს ანდისხან არ ჰქონდათ სასმელი წყლი მათარების უქონლობის გამო, თუმცა ყველა ჯარის ნაწილებში საკმარისი რიცხვი მათარებისა იყო;

4. ბევრი წითელარმიელები ჩამორჩნენ სამწყობრო მუშაობას იმ მიზეზით, რომ ეცვათ დიდი ზომის ფეხსაცმელები და გადაეყვლიფათ ფეხები, ზოგს სრულიად არ ჰქონდა ფეხსახვევები, ბევრს არმიელებს ჰქონდათ ძალიან ჭუჭყიანი ფეხსახვევები;

5. საბარგულის საზიდავები იტვირთებოდა ზედმეტად;

6. საომარ კარვებით სარგებლობა ყველა წითელარმიელებს არ შეეძლოთ.

ხანგრძლივ და დიდ ომის გარემოებაში ეს ნაკლულევანებანი არაა მართლაც მნიშვნელოვანი და შესაძლებელიცაა, მაგრამ ალლუმების დროს ეს დაუშვებელია და თითქმის საპასუხისმგებლოც, მით მომეტებულ, რომ იყო ყველა საშუალებანი თავიდან აცილებულ ყოფილიყო ყველა აღნიშნული დეფექტები.

მთელი ალლუმები წარმოადგენდნენ ორი დღის სავალ გზას. ორსავე მხრიდან თავის დროზე იყო მოწყობილი სასურსათო საწყობები ყველა სურსათ-სანოვაგის მარაგით. იყო რა მიღებული მხედველობაში საერთო სიმცირე საზიდავებისა, ყველა ნაწილებს მიეცათ ფული კერძო საზიდავების დასაქირავებლად და ამას გარდა, პირობით ორსავე მხარეს ეძლეოდა საშუალება სურსათ-სანოვაგის რკინისგზის საშუალებით მიზიდვისა.

პურის საცხობები სავსებით უზრუნველყოფილი იყო და ჰქონდათ მარაგში ორცხობელაც. საკლავი საქონელი მორეკილ იქმნა ალლუმების რაიონში მოიჯარადრის მიერ. სამზარეულოები ყველას ჰქონდა თავის რიგზე შეკეთებული, აგრეთვე ყველას ჰქონდა ფული კერძის სარჩოს საჭიროებისათვის (ბოსტნეულობის სასყიდლად).

მთელი სანივთო (ტანსაცმელი) ქონება იყო გადაცემული სრულიად, გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით.

რაღა იყო საჭირო? მარტო სწორი და შნოიანი განკარგულების მიცემა, რაიც ვერ მოახერხეს.

ს. შაკუნი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში.

## ცხენოსან ლეგ. ცვალებადი ესკადრონი.

ქართ. ცხენოსან ლეგიონში არსებობდა ცვალებად ესკადრონის შემადგენლობა. ეს ამხანაგები დიდ უნარიანობას იჩენდენ ყველაფერში.

პოლიტხელის საუბრების შემდეგ, ისინი კიდევ შეიკრიბებოდენ ცალკე და ახსნილ გაკვეთილს ხელახლად იმეორებდენ. ამ უკანასკნელ ხანებში შემოღებული იქნა ერთი მეთოდი ე. წ. „წიგნთა ომი“.

მონაწილეობას იღებდა ათი ტერ-არმიელი.

გაიყოფოდენ შუაზე და ერთმანეთს აძლევდენ კითხვებს. რომელიც ჩაიჭრებოდა მას ცალკე უხსნიდენ, თუ რომელ წიგნში შეეძლო ეპოვნა მიცემულ საკითხზე ახსნა-განმარტება.

ამავე დღეს ცვალებად ესკადრონის პირველმა მწყობრმა გამოიწვია მეორე მწყობრი, რომელსაც დაესწრენ ლეგიონის ყველა პოლიტხელები. შეჯიბრში გაიმარჯვა მეორე მწყობრმა.

ასეთმა მეთოდმა დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელებში. ყველა ცდილობს მეტი ცოდნა შეიძინოს, და გაიმარჯვოს შეჯიბრში. სწორედ ამიტომ თავისუფალ დროს ყველა სამკითხველოსაკენ გარბის და გულმოდგინეთ ჩასჩერებიან წიგნებს.

ვ. კაცაძე.

## ჩვენი სამკითხველოები.

4-ხე ტერლეგიონი.

ლეგიონის პირველ ასეულში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დაკვრითი წესით შესასრულებელი სამუშაოები იყო, მაინც შევსძელით ასეულებში სამკითხველოების დაარსება. სამკითხველოები შევსებული იქნა საჭირო წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. წითელ არმიელები დიდი ყურადღებით ეკიდებიან წიგნების კითხვას. თვით სამკითხველოების შესაფერად მოწყობაშიც დიდი აქტიობა გამოიჩინეს წითელ არმიელებმა.

ასეთივე კარგად არის მოწყობილი ხსენებულ ასეულებში ლენინის კუთხეები შესაფერი ლიტერატურით ლენინზე.

ჟურნალ-გაზეთები ყოველ დღე სისტემატიურად მოგვდის, რომლებსაც ხელიდან ხელში სტაცებენ არმიელები ერთმანეთს.

სამკითხველოებშივე არის ქაღალდი და კონვერტები წითელ არმიელებისათვის. ვისაც დასჭირდება წერილის წერა მიდის იქ, აძლევენ საწერ-კალამს, ქაღალდს და სწერენ.

საერთოდ ჩვენი სამკითხველოები ყოველ მხრივად უწყობენ ხელს არმიელებს და აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებებს.

ვ. ქარუმიძე.

## საჩვენებელი გასამართლება.

მე-6 ლეგიონი.

15 სექტემბერს ლეგიონის საბანაკო კლუბში გაიმართა „დეზერტირის“ საჩვენებელი გასამართლება. გასამართლება დაიწყო საღამოს და ტერარმიელები ხალისით ეგებებოდნენ მას. გასამართლება მოაწყვეს ტერარმიელებმა, რომელიც მთლიანათ ჩატარდა ძირედი და ტერარმიელების ძალებით ქართულათ და რუსულათ. ერთი ბრალმდებელი ქართულათ ლაპარაკობდა მეორე კი რუსულათ, ასე იყო დამცველებიც. საერთოთ კამათი ძლიერ საინტერესო იყო. წითელარმიელს ედებოდა ბრალათ 6 თვის დეზერტირობა და სახაზინო ქონების გატაცება.

მოპირდაპირე მხარეები ძლიერ მომზადებულნი აღმოჩნდენ. აღსანიშნავი იყო ბრალდებულის სიტყვებიც.

ტერარმიელები გასამართლებით კმაყოფილნი დარჩნენ და სურვილს გამოსთქვამდნენ, რომ ასეთი გასამართლებები ეწყობოდეს ხშირათ.

ლეგკლუბის გამგეობას განზრახული აქვს ეს გასამართლება მოაწყოს სომხურად და თათრულათ. იმედია ამას შეასრულებს გამგეობა, რადგან მას ძლიერ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ახლად მოსულებისათვის.

სამხკორი ე—ლი.

## კიდევ ბატონო.

1-ლი საარტლეგიონი.

პირველი საარტილერიო ლეგიონის სამნეოში არის ერთი გადამწერი წ. არმიელი ჩიტიაშვილი, რომელიც თავის უფროსს ყოველ კითხვა პასუხზე „ბატონოთი“ მიმართავს. უფროსიც იფერებს ამ სიტყვას და ერთხელ შენიშვნა არ მიუცია.

რად არ უნდა იცოდეს ამხ. არმიელმა, რომ „ბატონოთი“ მიმართვა ჩვენს რიგებში მაინც დაუშვებელია.

იცოდეს აგრეთვე იმ უფროსმაც, რომ მადლობას არავინ ეტყვის ამისთვის.

სამხკორი შ. ბ—ძე.

# შვებულების წინ

## სალამი უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს.

პირველი საკავშირო ასეული.

ჩვენი ნაწილი უშვებს უვადო შვებულებაში 23 წით. არმიელებს, რომლებმაც წელიწად ნახევარი დაყვეს წითელ ყაზარმაში. ამ ხნის განმავლობაში ამხანაგებმა ბევრი რამ შეითვისეს, როგორც პოლიტიკურად ისე სამხედრო საქმეც. ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ, იმ ცოდნას რომელიც მათ შეიძინეს წითელ ყაზარმაში გაუზიარებენ სოფლის გლეხობას, განამტკიცებენ მათთან კავშირს და დაეხმარებიან გლეხობას ყოველივე საქმეში; ხელს შეუწყობენ კოოპერაციის აღორძინებას, სამკითხველოს გაძლიერებას, გლეხთა კომიტეტების დაარსებას, და გლეხთა საბჭოს არჩევნებში აქტიური მონაწილეობას მიიღებენ.

ამ საქმეებში უპარტიო წითელ არმიელზე მეტი ენერგია უნდა გამოიჩინონ პარტიულ ამხანაგებმა, რომლებზედაც დიდ იმედებს ამყარებს საბჭოთა ხელისუფლება.

მაისში გამოწვეული წითელ არმიელები მიდიან, მაგრამ ყაზარმა მაინც არ იცლება, ყაზარმაში რჩება შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელები, რომლების მოვალეობას შეადგენს სრული ცოდნით აღჭურვილი დახვდენ, 1903 წ. დაბადებულ ახალწვეულებს, რომლებმაც ჯერაც არ იციან თუ რას წარმოადგენს წითელი ყაზარმა. ამისათვის ნაწილში დარჩენილ წითელ არმიელებმა უნდა განუმარტონ ახალწვეულებს წითელი ყაზარმის ცხოვრება და სხვა.

გაუმარჯოს უვადო შვებულებაში მიმავალ წით. არმიელებს! გაუმარჯოს მათი საქმიანობას სოფლად.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

## შვებული წითელ არმიელები ტყავტრესტის მუშებთან.

(1-ლი ლეგიონი).

14 სექტემბერს 1-ლ ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი-არმიელები ესტუმრენ ტყავ-ტრესტის მუშებს. იქ მისვლისას გაიმართა ცეკვათამაში, უკრავდა სამხედრო ორკესტრი. წითელ-არმიელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დაახლოებით 1 საათის შემდეგ, სკოლის წით.-არმ. ამხ. მაღულარიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საზეიმო მიტინგი. პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა, ტყავ-ტრესტის კომუჯრედის მდივანი ამხ. ტრტატიანი, რომელიც შეეხო ყველა იმ დავალებებს, რომელსაც ავალებს შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს ჩვენი ხელისუფლება. მეორე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. წულუკიძე. მანაც განმარტა და გააცნო მუშებს ყველა შვებული წითელ-არმიელების მოვალეობანი. შემდეგ ილაპარაკა ლეგიონის მეთაურმა ამხ. ზოიძემ. მან დაწვრილებით აღწერა ძველი ჯარის ყოფა-ცხოვრება და შემდეგ ილაპარაკა ჩვენს წითელ ჯარზე. ამხ. ზოიძის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ტყავტრესტის ახ. ლ. კ. კ. სახით არმიელებს მიესალმა ამხ. შამანი.

ბოლოს გაიმართა წარმოდგენა, დაიდგა პიესა „დაჭრილი ორბი“ და ერთ მოქმედებიანი კომედია. იმღერა ამავე ლეგიონის მომღერალთა გუნდმა ამხ. უფლისშვილის ხელმძღვანელობით.

ამნაირად დაემშვიდობენ მუშებს შვებული ამხანაგები.

წ.-მ. ა. შავლაძე.

## ჩვენც მომზადებულ ხალხს უბრუნებთ სოფლებს.

დივლაზარეთი.

წინად ხშირად იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში ლაზარეთის წითელ-არმიელების ჩამორჩენილობაზე, როგორც პოლიტიკურად, ისე სხვა დარგებშიაც. ყველა ამან თავის დროზე მიიქცია შესაფერი ყურადღება და მონდომებული მუშაობით მივაღწიეთ მიზანს.

ამ ჟამად ჩვენი არმიელები თავისი მომზადებით სრულიად არ ჩამოუვარდებიან სხვა ნაწილების მოლაშქრეებს.

ეხლა ჩვენც უბრუნებთ სოფლებს საკმაოდ მცოდნე და გამოცდილ არმიელებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამხანაგები სავსებით გაგვიმართლებენ ჩვენს იმედებს და ენერგიულად ჩაებმებიან სოფლად წარმოებულ მრავალფეროვან მუშაობაში.

გაუმარჯოს მათ საქმეს.

სამხკორი ლენკუთხელი.

## მხურვალე სალამი შვებულებაში მიმავალთ.

ჩვენი წითელი ჯარი პერიოდიულად აძლევს სოფელს მომზადებულ მუშაკებს, რომლებიც ენერგიულად და დიდის ხალისით შეუდგებიან ახალ სოფლის შექმნას. შვებულ წითელარმიელს დიდი მუშაობა მოუხდება სოფლად. მან ყოველ დარგში უნდა შეიხედოს და თავის წვლილი უნდა შეიტანოს მასში. შვებულ წითელ-არმიელების მოვალეობაა ის ცოდნა, რომელიც შეიძინა მან წითელ ჯარში, დაუზარებლად მოახმაროს სოფლის აყვავების საქმეს. შვებულმა რომ თავის მოვალეობა შეასრულოს პირნათლად, ამიტომ საჭიროა მან მჭიდრო კავშირი იქონიოს სოფელში კულტურულ ფრონტზე მომუშავე მუშაკებთან. შვებულმა არ გასწყვიტოს კავშირი უფროსებთან და თავის გაზეთთან. ყოველივე უკანონობა, თუ ასეთს ადგილი ექნება სოფელში, მან მაშინვე უნდა ამხილოს ეს გაზეთის ფურცლებზე, ყოველივე მისთვის გაუგებარ საკითხის გადასაჭრელად შვებულმა უნდა მიმართოს წითელ ჯარს, რომლისაგან ის მიიღებს საჭირო პასუხს.

მაშ, მხურვალე სალამი და გამარჯვება თქვენ, შვებულებაში მიმავალო, წითელ-არმიელებო!

წ. არმ. სერგო მონიავა.

## მე-3 ლეგიონის ცხოვრებიდან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მესამე ლეგიონის მთელი შემადგენლობა დაბრუნდა გორის მაზრაში წარმოებულ მანევრებიდან. ჯერ-ჯერობით საზამთრო ბინა ვერა გვაქვს შესაფერი, რადგან ჩვენთვის დანიშნული ბინა დაეკავებია ტერლეგიონს.

დაბრუნებისთანავე შეუდექით მეცადინეობას, მაგრამ ცოტა ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ლეგიონის ნაწილები საგრძნობლად არიან ერთმანეთისაგან დაცილებული. მიუხედავად ამისა მეცადინეობა მაინც ტარდება შეძლების დაგვარად. წითელ არმიელები მხნედ ეკიდებიან ყოველგვარ მეცადინეობას. წითელ არმიელთა უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოდან არიან და ამიტომ უფრო გაძლიერებული ტემპით გვიხდება მათ შორის მუშაობა.

სამხკორი ჯიხაიშელი.

## ჩვენი სამკითხველო მოეწყო.

პირველი ლეგიონი.

ბანაკში ყოფნის დროს ჩვენი სამკითხველო ვერ იყო სათანადოთ მოწყობილი. მას ბევრი ნაკლი ქონდა. ჯერ ერთი ის, რომ მეტად ცუდ შენობაში იყო მოთავსებული, მეორე შენობის ირგვლივ მთელ მიდამოებში საშინელი სუნი იყო გამდგარი. ამასთანავე ერთად გაზეთები არ მოგვდიოდა თავის დროზე.

ბანაკიდან წამოსვლის შემდეგ კი სრულიად შეიცვალა მდგომარეობა. ამჟამად სამკითხველო სრულიად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს. გამგემ შეიძინა საჭირო ახალი ლიტერატურა—ყველა ენებზე. აქ მოიპოვება რუსული, ქართული, თათრული, სომხური და ოსური. სისტემატიურად ვღებულობთ მოსკოვიდან ჟურნალებს.

მკითხველთა რიცხვი დღე და დღე მატულობს· სამკითხველო ყოველთვის სავსეა მკითხველებით.

გამგის ენერგიული მუშაობის წყალობით, ყველა ასეულები თავის დროზე ღებულობენ ჟურნალ-გაზეთებს. უსურვებთ მას არც შემდეგში შეენელებიოს თავისი მუშაობა.

სამხკორი პროზა.

## სამხკორთა მუშაობა

### 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულში.

14 სექტემბერს 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულში შესდგა სამხკორთა კრება, რომელიც მოწვეულ იყო მე 2 დივ. პოლიტ. განყოფილებიდან ამხ. მ. სიმონგულოვის მიერ. დაესწრო ყველა ამხანაგები. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება ნაწილის სამხკორისა თავის წასულ მუშაობის შესახებ, 2) მუშაობა სამხკორთა შორის საერთოდ და მე-3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე—მოხსენება გააკეთა ასეულის სამხ. ამხ. ლ. გიორგაძემ, რომელმაც გააცნო კრებას ერთი წლის მისი მუშაობის შედეგი ნაწილში.

უარყოფითად ჩაითვლება აგრეთვე ისიც, რომ წითელ-არმიელთა მასა ვერ იყო ჩაბმული გაზ. „წითელ არმიელ-“ში.

რაც შეეხება კედლის გაზეთს, იქ უფრო წითელ-არმიელთა მასა იღებდა მონაწილეობას სამხკორი აგრეთვე ეხება თავის მუშაობას ბანაკობის დროს და აღნიშნავს, რომ ზაფხულის პერიოდში თუმცა ვერ იქნა შესრულებული ყველა მოცემული ამოცანები მაგრამ მაინც შეძლების დაგვარად ვაწოდებდი კორესპონდენციებს გაზეთს და ნაწილში, კი გამოუშვით სამი კედლის გაზეთი.

ამასთანავე დაარსებული იყო პოლიტ-განყოფილების მიერ სამხკორთა მოსამზადებელი კურსები, სადაც მუშაობდა 8-9 ამხანაგი.

მეორე საკითხის ირგვლივ ფართო მოხსენება გააკეთა ამხ. მ. სიმონგულოვმა. მან ხაზ-გასმით აღნიშნა ნაწილის სამხკორების მუშაობა, მათი მოვალეობას, და მიღწევები. მან ხაზი გაუსვა ნაწილში სამხკორთა ორგანიზაციის და არსებას წ.-არმ. მომზადებას და მათ აქტიურად ჩაბმას მუშაობაში. ბოლოს ამხანაგს მოუწოდებს კრებას სათანადო მუშაობა გაატარონ შვებულ წ. არმიელებთან.

ახალწვეულებს კი დავხვდეთ ფართო პროგრამით და ისინი მოვამზადოთ დიდ სააღმშენებლო მუშაობაში ჩასაბმელადო დაამთავრა სიტყვა ამხანაგმა.

წ.-არმ. ალი.

# პარტიული ცხოვრება

### 3-მე ლეგიონი.

ლეგიონის მანევრების დროს ჩვენი პარტუჯრედები შეუდგენ თავიანთი მოვალეობის ასრულებას. უმთავრესად ეს მოვალეობა შეიცავდა სოფლის ჰირვარამის გამორკვევას. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს დავალება ზედმიწევნით კარგად იქნა შესრულებული.

ჩვენ უხსნიდით ზოგიერთ მიყრუებულ სოფლებს საბჭოთა კანონებს, რომლებიც მათ არ ესმოდათ.

ჩვენმა უჯრედებმა დაწვრილებით გამოარკვიეს ამა თუ იმ სოფლებში საქმის მდგომარეობა.

დაწვრილებით შევისწავლეთ ყველა ორგანიზაციები, გავითვალისწინეთ გლეხების დამოკიდებულება ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა.

საბოლოო შედეგი ისეთი მივიღეთ, რომ ბევრი სოფლებში დიდათ მოისუსტებს მუშაობა, მაგრამ შვებულების მისვლის შემდეგ სრული იმედი გვაქვს, რომ იქაური ცხოვრება გამოცოცხლდება.

**ჯიხაიშელი.**

### მე-6 ტერლეგიონის კომუჯრედში.

პარასკევს 11 სექტემბერს შესდგა მე-6-ე ტერლეგიონის კომუჯრედის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრენ მრავალი წითელ მოლაშქრენი.

გასარჩევი იყო სამი საკითხი:

1. პირი კოოპერაციისაკენ; 2. სხვა და სხვა კომისიების არჩევნები და ჯგუფების ხელმძღვანელების გამოყოფა და 3. მიმდინარე საკითხები.

კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გობერიძემ ქართულად, რომელიც დაწვრილებით შეეხო კოოპერაციის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირისათვის.

ამავე საკითხზე რუსული მოხსენებით გამოვიდა ამხ. კვახაძე.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები. აირჩიეს 17 ამხ. სხვა და სხვა პარტიულ დავალებების ხელმძღვანელებათ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ახალი ბიუროს წევრები და უჯრედის მდივანი დიდ სიფხიზლეს და ენერგიას იჩენენ. ისინი ხელმძღვანელობენ ჯგუფებს და ამამენ ყველა წევრს აქტიურ პარტ. მუშაობაში.

გაირჩა სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები და ამით ამოიწურა ყველა საკითხები.

პარტკორი ლ. სანაძე.

# ქალაქის კომენდანტის საყურადღებოთ.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, რომ გარნიზონის საყარაულო შენობებში ინვენტარისა და ვალდებულებათა ცხრილი მხოლოდ რუსულ ენაზეა და, რომ ეს გარემოება მრავალ გაუგებრობას იწვევს ქართველ გუშაგთა შორის, რასაც მოსდევს ვალდებულების დარღვევა და სათანადო სასჯელი.

სამწუხაროდ სამხკორის განცხადება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ქ. კომენდატურას დღემდე ვერ მოუგვარებია ეს მცირე საქმე.

ნუ თუ ასე დიდ სიძნელეს წარმოადგენს ამ საქმის მოგვარება? აუცილებლად საჭიროა საბოლოოდ ბოლო მოეღოს ამ უყურადღებობას და საყარაულო შენობებში რუსულ ცხრილებთან ერთად იქნეს გამოკრული ქართული ცხრილებიც. მხოლოდ ამით შეიძლება ყოველგვარ მოსალოდნელ გაუგებრობის თავიდან აცილება.

სამხკორი ვაკუნი.

## გაგვირეცხეთ საცვლები.

### ქართ. ცხენოსანთა ლეგიონი.

ცხენოსანი ლეგიონის წითელ არმიელების საცვლების სუფთად გარეცხვისათვის არავინ ზრუნავს. მართალია მრეცხავის ხელში სისტემატიურად გადის საცვლები, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი ძლიერ ცუდათ რეცხავენ, მეორე არ ატარებენ დეზინფექციაში—ამას მეკუჭნავეები არ აქცევენ ყურადღებას და ამიტომ გარეცხილ საცვლებში ხშირად ვნახულობთ კბენარებს, რომლებიც შემდეგ მეტის-მეტად გვაწუხებენ.

საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება, ვისაც ეს ეხება. გაგვირეცხეთ და გამოგვიხარშეთ საცვლები.

სამხკორი სისხლი.

# უმფროსი გუნდში.

### მეთაურთა სკოლა.

ქ. მეთაურთა სკოლასთან არსებული წ. არმიელთა სამნეო გუნდი მუდამ ცდილობს არ ჩამორჩეს კურსანტთა კულტურულ მუშაობას.

ბანაკობის დროს (და ადრეც) მათ შესაფერი „საღამო წარმოდგენები“ მოაწყვეს სკოლის კლუბის ხელმძღვანელობით და სამნეო გუნდის უფ-პოლიტ შემადგენლობის დახმარებით.

ეხლა (სამოსწავლო წლის დასაწყისში) მათ, სამნეო გუნდელ წითელ არმიელებს ხვდა წილად საკლუბო მუშაობის დაწყება,—პირველი საღამო მათ უნდა გამართონ...

პროგრამაში შეტანილია: „წითელი არმიელი სოფლად“, „დეზერტირი“ (პიესა) და ერთი ვოდევილი.

ეს საღამო „გამოსათხოვარ საღამოთ“ მზადდება, მაგრამ წითელ არმიელთა შვებულებაში დათხოვნის დროებით გადადებამ არ უნდა შეაჩეროს!

სამნეო გუნდს მეორე „საღამოს“ მოწყობაც შეეძლება, რადგანაც მას—ძალები საკმაოდ ჰყავს!

გუნდს ჰყავს დოლზე, სალამურზე, სკრიპკაზე და სხვა ინსტრუმენტებზე დამკვრელები...

არიან წ. არმიელები, რომლებსაც გურულისა და სხვა სხვა სიმღერების მოწყობა შეუძლიათ; ყველა ეს ძალები გამოყენებული უნდა იქმნეს საღამოსათვის.

კარგი იქნება თუ ლიტ-წრე, ან პოლიტშემადგენლობა გამართავს „დეზერტირის“ გასამართლებას, რომელიც თვით პიესაშიც არის აღნიშნული!

სკოლაში დარჩენილმა კურსანტებმა უნდა გაამხნევონ წითელ არმიელები, რომ მათ უკეთ შესძლონ პოლიტიკურ-კულტურული მუშაობის წარმოება!

პოლიტხელები კი მუდამ პირველნი უნდა იყვენ ამ საქმეში!

**სოსო ვანანიშვილი.**

## არტ-სკოლის ცხოვრებიდან.

1-ლ საარტილერიო ლეგიონის არტ-სკოლაში მეცადინეობაც სისტემატიურათ სწარმოებს.

სკოლის კურსანტები არიან დაყოფილი ჯგუფებათ, რომელთაც დანიშნული ყავთ თავისი ხელმძღვანელები.

ჯგუფები არის დაყოფილი სამნაირათ: კარგად-მცოდნე, საშვალო და სუსტი. ჯგუფის უფროსების დანიშნულება და მიზანი იყო გამოესწორებიათ ჩამორჩენილი ამხანაგები.

სულ მოკლე ხნის განმავლობაში იქნა ეს დავალება შესრულებული.

ამ ჟამად არტ-სკოლაში დიდი ფაცა-ფუცი და მზადებაა, რადგანაც ახლო მომავალში იწყება კურსანტთა გამოცდები.

ამის გამო ისინი ენერგიულად ეკიდებიან საქმეს, რომ არ გაამათილონ მათი მეთაურების იმედები.

სამხკორი ვ. ლოლომაძე.

# ამბები სოფლებიდან

**საალმშენებლო სამუშაოთათვის.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაავალა ფინგანს გამონახოს წყაროები მაზრაში საალმშენებლო საქმეების დაწყების მიზნით.

**ბლეხკომის საქმიანობა.**

ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა იჯარით აიღო ჯარისათვის ხორცის მიწოდების საქმე.

**ახალი საზოგადოება.**

სენაკში შეკრებილმა მწყემსებმა დააარსეს ახალი საზოგადოება „მეჯოგე.“

**ოსების გადმოსახლება.**

ამერიკაში და ავსტრალიაში მცხოვრები ოსების 500 კომლი ბრუნდებიან და ესახლებიან სამხრ. ოსეთში.

**ღვინის მოსავალი.**

კახეთში ღვინის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ღვინოზე დიდი მოთხოვნილებაა.

**უმუშევრობის წინააღმდეგ.**

აჭარაში მოწყობილ შრომის კოლექტივებში, ამჟამად მუშაობს 365 უმუშევარი.

# ახალი ამბები.

**დახმარება უმუშევრებს.** საქართველოს დამზღვევი სალაროები ამ ჟამად ფულად დახმარებას აძლევენ 4 ათასამდე დაზღვეულ უმუშევარს.

— **ყურძნის დამზადება.** წელს სახალხო მამულების ტრესტი ბაზარზე გასასაღებლათ დაამზადებს 150 ათას ფუთ ყურძენს.

— **საბეითლო საქმე.** სახელმწიფო უნივერსიტეტთან საბეითლო ფაკულტეტის მოსაწყობათ მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატს განზრახული აქვს გადასდოს 62 ათასი მანეთი.

— **მიწათმოწყობა** უკვე დამთავრდა რესპუბლიკის 32 სოფელში.

— **საშინაო ვაჭრობა.** 1-ლი ოქტომბრიდან საქართველოს მთელ რიგ მაზრებში და მათ შორის ტფილისშიაც არსდება შინა ვაჭრობის განყოფილებები.

— **მეხილეობა.** მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის მეხილეობის ბიურომ შეიმუშავა გეგმა მომავალი წლისათვის მეხილეობის გაუმჯობესების შესახებ.

— **წამლეულობა გლეხებს.** საქ. გლეხკომების ცეკამ გამოიწერა მოსკოვიდან გლეხებისათვის დასარიგებლათ პირველი მოთხოვნილების წამლები.

— **გამოფენები.** მიწათმოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა ყოველწლიურად მოაწყოს მეხილეობა-მებოსტნეობის სარესპუბლიკო გამოფენები.

— **აგვისტოს განმავლობაში** ტფილისის დამზღვევ სალაროში აღრიცხულია დაზღვეულთა შვილების დაბადების 345 შემთხვევა.

— **საზოგადო სამუშაოები.** გონებრივ მუშაკთათვის, საზოგადოებრივი სამუშაო სახელმწიფო მუზეუმში გაგრძელებულია საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

— **ახალი ფაბრიკა.** ამ ჟამად სწარმოებს მოლაპარაკება კამვოლისტრესტსა და აფხაზეთის წარმომადგენლებს შორის, საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობათა დამამზადებელი ქარხნის მოწყობის შესახებ.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### საკარნახო მანქანა.

ექიმ შტილერმა გამოიგონა ელექტრო ანდამატური მანქანა, რომელიც კარნახით სწერს ადამიანის სიტყვებს. სრულიად ჩუმად, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვებიც კი აღინიშნებიან ამ უცნაურ მანქანაზე და შემდეგ კი შეიძლება მათი აღდგენა ამავე აპარატით.

მანქანას აქვს ერთი ნაწილი, რომლის საშვალებითაც აწარმოებენ ლაპარაკს და რომელსაც აქვს მაგიდაზე დასადგმელი ელსმენის შეხედულება.

აპარატის კონსტრუქცია ისეთია, რომ მოკარნახეს ყოველთვის შეუძლია, ცუდად ნაკარნახევი სიტყვები გამოსცვალოს სურვილისამებრ. ლაპარაკის დროს, მოკარნახეს ამნაირად ყოველთვის შეუძლია კანტროლიორის როლიც შეასრულოს კარნახის დროს. მიმღებ აპარატს აქვს პაწია მაგიდის შეხედულება, სადაც „მოთავსებულია საბეჭდი მანქანა და ნაკარნახევი შეიძლება მოისმინო ელსმენის მილის ან ხმამაღლა მოლაპარაკის საშვალებით.

**წყალქვეშა სანათური.**

ამერიკელ დოქტორი დელიზიმ, რომელიც ამ ჟამად ითვლება ფილადელფიის რადიო სადგურის დირექტორად, განსაკუთრებული კონსტრუქციის ელექტრო სანათურის საშვალებით, 75 ფუტის სიმაღლეზე შესძლო წყალქვეშა ცხოვრების დათვალიერება. ასეთ სიღრმეზე საერთოდ აბსოლიუტური სიბნელეა. ექიმმა შესძლო აგრეთვე წაეკითხა იქვე ზევიდან გ დაცემული რადიო ცნობები.

**რას უწოდებენ ტაქსომატორს.**

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქებში ხშირად შეხვდება კაცი ე. წ. ტაქსომატორებს. ტაქსომატორი იგივე ავტომობილია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მოძრაობის დროს ზომავს განვლილ მანძილს.

სიტყვა „ტაქსომატორიც“ აქიდან არის წარმომდგარი. ტაქსო და მოტორი, ე. ი. მოტორი ანუ ავტომობილი, რომელიც მუშაობს ტაქსით.

ტაქსომატორს აქვს ერთგვარი საზომი, რომელიც სრული სიზუსტით ითვლის ხოლმე ავტომობილის განვლილ მანძილს.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ილ. პაპავას.** თქვენი ლექსი არ გამოდგა.

**ამხ. ლელის პირველს.** (1-ლი მესანგრე) თქვენი წერილი „მესანგრეთა ასეულის ცხოვრებიდან“ არ გავა. საჭიროა ფაქტები.

**ამხ. ნაძვს.** კორესპონდენცია „სირცხვილი ასეთ წ. არმიელს“ გამოდგება კედლის გაზეთში.

**ამხ. ბალკონს.** (1-ლი მესანგრე ას.) თქვენი წერილი „რას უნდა მიექცეს ყურადღება“ წვრილმანია. არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქარ. მსრ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომ-პარტიის კანდიდატს ამავე ასეულის მეთაურის თანაშემწეს ამხ. იაკიმე თედორესძე ხურცილავას, მცხოვრებ ქუთაისის მაზრის, სოფელ კულაშის, პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ზემოაღნიშნული ამხ. შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 17 სექტემბრამდე შემდეგი მისამართით 1-ლი საკავშირო ასეულის კომუჯრედში.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.